ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 51

26.02.2021
14:00 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 2-01

მიმდინარე წლის 26 თებერვალს, 14:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: დავით ჭელიძე (კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი), ლევან ჯაფარიძე (კომისიის წევრი), ავთანდილ ცინცაძე (კომისიის წევრი), დათო რურუა (კომისიის წევრი) და შალვა ოგბაიძე (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომას თავმჯდომარეობდა - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **დავით ჭელიძე.**

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.** (**მომხსენებელი** - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი);

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს: მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში - კომისიას წარუდგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, მოგახსენებთ რომ პანდემიიდან გამომდინარე 2020 წელი განსხვავებულად წარიმართა, რაც აისახა სხვადასხვა მიმართულებით, სპორტული და

ახალგაზრდული ღონისძიებების ნაწილში არსებული თანხები გადავიდა სახელფასო მიმართულებით, ა(ა)იპების თანამშრომლების სამუშაოს ანაზღაურებისთვის და შენობების კომუნალური გადასახადის დასაფარად. აღსანიშნავია რომ ინფრასტრუქტურული სამუშაოები არ შეჩერებულა, ამ ეტაპზე მულტიფუნქციურ ცენტრებზე ვიდეოკამერების დამონტაჟება მოხდა, რაც საშუალებას გვაძლევს ტელეფონით, სპეციალური კოდის გამოყენებით ონლაინ ვადევნოთ თვალი სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობას. გარკვეული მასალების გაძვირების გამო მუშაობის ტემპი შედარებით შენელებული იყო, მაგრამ სექტემბერ-ოქტომბერში ველოდებით დასრულებას.

რაც შეეხება სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა პროგრამებს მთლიანობაში ქვეპროგრამების მიხედვით ასეთი სურათია:

სპორტული ღონისძიებები (08 06 01), საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა თბილისის 19 სპორტული ფედერაცია. სპორტული ღონისძიებების ფარგლებში მოეწყო სპორტის სხვადასხვა სახეობაში თბილისის პირველობები და ჩემპიონატები, სასწავლო–საწვრთნო შეკრებები, ქ. თბილისის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს ჩემპიონატებში, თასის გათამაშებებში, სახელობით ტურნირებში. სულ დაფინანსდა 53 სპორტული ღონისძიება, ასევე 2020 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებზე მიღწეული წარმატებისთვის დაჯილდოვდა 2 სპორტსმენი. განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობა მიიღო 9 346 ბენეფიციარმა.

მწვრთნელთა მხარდაჭერა (08 06 02), საანგარიშო პერიოდში ფინანსური მხარდაჭერა გაეწია სპორტულ დაწესებულებებში მომუშავე სპორტის სხვადასხვა სახეობის 348 მწვრთნელ - მასწავლებელს (მ.შ. კაცი - 281, ქალი - 67), რომლებიც სპორტის 49 სახეობაში ავარჯიშებენ მოზარდებს.

სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (08 06 03), საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე სკეიტ-პარკის მოედნის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობა (კოდი 08 06 04), საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა: ქ. თბილისში, დიდ ლილოში, ვარკეთილის დასახლებაში არსებული შენობის სპორტულ დარბაზად გადაკეთების და სარეაბილიტაციო სამუშაოები; ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები; ქ. თბილისში, დიდ დიღომში, სკოლა „ფესვების“ მიმდებარედ მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის სამშენებლო სამუშაოები; ქ. თბილისში, ლილოს დასახლებაში, 107-ე საჯარო სკოლის მიმდებარედ, სპორტული ცენტრის ტერიტორიაზე საცურაო აუზის სამშენებლო სამუშაოები; ა(ა)იპ „ჩოგბურთის განვითარების“ ვაკის პარკში არსებული ჩოგბურთის კორტების რეაბილიტაცია; ა(ა)იპ "ქ. თბილისის მერიის ფეხბურთის სპორტული ცენტრი იმედის" რეაბილიტაცია; ა(ა)იპ „ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრის სტრუქტურული ერთეულების - გლდანის სპორტული კომპლექსის და კულა გლდანელის სახელობის ჭიდაობის დარბაზის და მუხიანის რაგბის კომპლექსის ბუნებრივსაფარიანი მოედნის სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები, ა(ა)იპ „მარინა ცერცვაძის სახელობის ფიგურული სრიალის სპორტული ცენტრის აღჭურვა და სხვა.

წარმატებული სპორტსმენი ბავშვების წახალისება (08 06 05), საანგარიშო პერიოდში 34 სპორტის სახეობაში დაფინანსდა 18 წლამდე ასაკის 247 წარმატებული სპორტსმენი (ბიჭი 165, გოგონა 82).

პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა (08 06 06), საანგარიშო პერიოდში ცენტრში ინტენსიურად მიმდინარეობდა საწვრთნელ–სარეაბილიტაცო პროცესი, საერთო ჯამში, საწვრთნელ-სარეაბილიტაციო პროცესში ჩართული იყო 217 პარასპორტსმენი (მ.შ. 189 მამაკაცი და 28 ქალი) და 20 მწვრთნელი. ცენტრში ვითარდება 15 პარასპორტული სახეობა. 2020 წელს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო სამმა პარასპორტსმენმა.

რაც შეეხება ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობას (08 08 01), საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ტიპის 23 პროექტი, პროექტებში ჩართული იყო 20 000-ზე მეტი ბენეფიციარი.

ა(ა)იპ "ქ. თბილისის მოსწავლე - ახალგაზრდობის სახლების გაერთიანების" ხელშეწყობა (08 08 01 03), საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში არაფორმალური განათლების კუთხით სერვისები მიეწოდა 3700-ზე მეტ ბენეფიციარს, დასრულდა ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები სამგორის ფილიალში, მცირე შეკეთებითი სამუშაოები ჩატარდა ჩუღურეთის, ნაძალადევისა და ისნის ფილიალებში, განხორციელდა 4 სასწავლო-შემეცნებითი პროექტი, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1400-მდე მოსწავლემ, კორონა ვირუსის პანდემიის გამო საგნობრივი და სახელოვნებო მიმართულების წრეებში სასწავლო პროცესი წარიმართა დისტანციურად, მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა პანდემიის პერიოდში მოსწავლეთა და თანამშრომელთა უსაფრთხოებისთვის.

თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანება (08 08 02), საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში ჩატარდა არაერთი პროექტი, მათ შორის: საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამა ახალგაზრდული ბარათი - „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ“, 2020 წლის 20 თებერვალს, გააკეთა ოფიციალური განაცხადი „ევროპული ახალგაზრდული ბარათის ასოციაციის“ (EYCA – European Youth Card Association) წევრობაზე და წარმატებით გაიარა შერჩევის ეტაპი; SALTO ხარისხის ნიშანი - EVS+ აკრედიტაცია - საერთაშორისო მოხალისეობრივი პროგრამებში თბილისში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართვისა და თბილისში უცხოელი მოხალისეების მიღების მიზნით ცენტრმა, 2020 წლის აპრილში გააკეთა ოფიციალური განაცხადი SALTO-ს აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის რესურს-ცენტრში. „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთაინებას“ ამავე წლის სექტემბერში მიენიჭა აკრედიტაცია და უკვე შეუძლია უმასპინძლოს მოხალისეებს. ცენტრის მიერ განხორციელდა არაერთი არაფორმალური განათლების პროგრამა და სხვადასხვა სახის ტრენინგი. 2020 წლის განმავლობაში ცენტრი აქტიურად იყო ჩართული კოვიდ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის აქტივობებში. კერძოდ, სპეციალურად შექმნილ მოხალისეთა შტაბისთვის (Stop Covid 19), რომელიც ფუნქციონირებდა, როგორც სატელეფონო („ქოლ-ცენტრი“) ცენტრის სახით, ასევე, ახორციელებდა მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროდუქციის მიწოდებას; „თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანებამ“ გაუწია ადმინისტრირება მოხალისეთა პლატფორმას. აღნიშნული მიმართულებით ჩართული იყო რამდენიმე ათასი ბენეფიციარი.

ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა (07 06 01), საერთო ჯამში სასახლეში ჩატარდა 224 ღონისძიება ძირითადად ონლაინ ფორმატში, მათ შორის ფესტივალები, ტრენინგები, ონლაინ კვირეულები, ფორუმები, ლექციები, პრეზენტაციები სხვადასხვა თემაზე, გამოფენები, რეპორტაჟები, ონლაინ კონცერტები და სხვა.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

ავთანდილ ცინცაძე - კარგი იქნება მონიტორინგის კუთხით ადგილზე მოვინახულოთ მულტიფუნქციური ცენტრები და გავეცნოთ მიმდინარე სამუშაოების პროცესს.

შალვა ოგბაიძე - ავჭალა-ზაჰესის ტერიტორიაზე ძალიან გვიჭირს სპორტული ცენტრები და აუზები, იქნებ მოვახერხოთ და შევძლოთ უკვე წელს საპროექტო სამუშაოების შეძენა. ასევე არის ძველი საცურაო აუზი, შენობა კერძო პირის მიერ არის პრივატიზირებული და მასთან შესაძლებელია მოლაპარაკება, თუ ექსპერტიზა შეისწავლის და ხელსაყრელი იქნება მუნიციპალიტეტისთვის აღნიშნული ქონების მოვლო პატრონობა.

ირაკლი გვილავა- მთავრობისგან ველოდებით ტრანსფერს, როგორც აისახება, ვგეგმავთ ავჭალაში ერთი პროექტის შეძენას კომპაქტური სპორტული ცენტრის ასაშენებლად.

სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2020 წლის განმავლობაში განხორციელებული ახალგაზრდული და სპორტული პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: დავით ჭელიძე